



№1-25/11

16/06/2023

დასკვნა-რეკომენდაცია

რეცენზია კლინიკური პრაქტიკის ეროვნული სტანდარტისა და კლინიკური გზამკვლევის თაობაზე - ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მართვა პირველადი ჯანდაცვის დონეზე

საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის მიერ განხილული და მომზადებული იქნა რეცენზია „პირველადი ჯანდაცვის დონეზე მოზრდილებში ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მართვის“ პროტოკოლსა და კლინიკურ გზამკვლევზე, რომელიც შემუშავდა საქართველოში ჩეხეთის კარიტასის (CCR Georgia) პროექტის „პირველადი ჯანდაცვის გაძლიერების ხელშეწყობა“ ფარგლებში. პროტოკოლის განხილვაში მონაწილეობდა საოჯახო მედიცინის ასოციაციის ექსპერტთა ჯგუფი - ოჯახის ექიმები და ოჯახის ექიმ-მასწავლებლები.

აღსანიშნავია, რომ პროტოკოლისა და გზამკვლევის შემუშავებისათვის შესრულებულია ვრცელი და ყოვლისმომცველი სამუშაო, რაც უდავოდ დადებით შეფასებას იმსახურებს. ორივე დოკუმენტი ეყრდნობა უახლეს საერთაშორისო რეკომენდაციებს და მეცნიერულ მტკიცებულებებს, ითვალისწინებს ტიპი 2 დიაბეტის სკრინინგის, დროული დიაგნოსტიკისა და ადეკვატური მართვის კრიტიკულ მნიშვნელობას დაავადებასთან დაკავშირებული გართულებებისა და ჰოსპიტალიზაციების შემცირების მიმართულებით, შესაბამისად, ორივე დოკუმენტი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს როგორც ოჯახის ექიმებს, ისე დიაბეტის მართვაში ჩართულ სხვადასხვა სპეციალისტებს პირველადი და მეორეული ჯანდაცვის დონეზე, ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მართვის პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაში.

აღნიშნული დოკუმენტებით ხდება 2020 წელს დამტკიცებული ტიპი 2 დიაბეტის მართვის ეროვნული პროტოკოლის განახლება, რომლის საჭიროებაც განაპირობა დიაბეტის მართვის ახალი საერთაშორისო მტკიცებულებების გაჩენამ, რომელიც განსაკუთრებით აისახა დიაბეტის სამკურნალო მედიკამენტების ახალი კლასების პოპულარიზაციისა და პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალების მიერ უფრო ფართო გამოყენების საჭიროებაში. პროტოკოლის და გზამკვლევის შემუშავებისას გამოყენებული იქნა ამერიკის დიაბეტის ასოციაციის 2022 და 2023 წლის დიაბეტის მკურნალობის სტანდარტები, UpToDate-ს 2023 წლის რეკომენდაციები, დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის 2017 წლის, ასევე ამერიკის დიაბეტის ასოციაციის 2019 წლის, კანადის დიაბეტის მართვის და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ესენციური არაგადამდები დაავადებების ინტეგრირებული მართვის (PEN) გაიდლაინები.

ამასთანავე, პროტოკოლთან ერთად შეიქმნა დიაბეტის მართვის კლინიკური გზამკვლევი, რომელშიც აისახა დიაბეტით დაავადებული პაციენტების ყოვლისმომცველი მართვა, დაწყებული დიაგნოსტიკის მომენტიდან, დამთავრებული ჰოსპიტალიზაციის შემდეგ ბინაზე გაწერით. ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მართვის კლინიკური გზამკვლევის მიზანია, ხელი შეუწყოს დიაბეტის მართვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჩარევების დანერგვას, დაავადების მულტი დისციპლინური

მართვის პრინციპების განხორციელებას და ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა რგოლებს შორის ეფექტურ კოორდინაციას, რაც საბოლოო ჯამში შეამცირებს ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა დონეებს შორის მომსახურების ფრაგმენტაციას, დადებით ზეგავლენას მოახდენს საავადმყოფოს რესურსებზე და პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსავლებზე, გააუმჯობესებს ეფექტურობას, კლინიკურ გამოსავლებს და პაციენტის გამოცდილებას. აღსანიშნავია გზამკვლევის მკაფიო და მარტივი სტრუქტურა, რომელიც ალგორითმების სახით თვალსაჩინოდ წარმოადგენს ინფორმაციას ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მართვისა და მკურნალობის გზების შესახებ, პროცესის უწყვეტობას და მულტი დისციპლინური გუნდის ჩართულობას.

გზამკვლევი ითვალისწინებს ტიპი 2 დიაბეტით დაავადებული პაციენტის მოძრაობის გზას არა მხოლოდ პირველადი ჯანდაცვის დონეზე, არამედ კოორდინირებულ მოქმედებას პჯდ და მეორეული დონის სპეციალისტებს შორის, პაციენტის მეთვალყურეობას დიაბეტთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაციის გამო გაწერის შედეგ, სპეციალისტთან რეფერალისა და ჰოსპიტალიზაციის მკაფიო კრიტერიუმებს.

ორივე დოკუმენტის შინაარსი ჩამოყალიბებულია ნათლად, განხილულია ძირითადი მიდგომები ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მართვაში, მათ შორის, სპეციფიკური თანმხლები ჩვენებების გათვალისწინებით. ამომწურავად არის მოცემული ინფორმაცია შაქრიანი დიაბეტის სკრინინგის, დიაგნოსტიკის, არამედუალური მკურნალობის მნიშვნელობის, ფარმაკოლოგიური მკურნალობის სხვადასხვა ალტერნატივების, გლიკემიის კონტროლის სამიზნეებისა და გადაუდებელი დიაბეტური მდგომარეობების პირველადი დანმარების შესახებ. ასევე გათვალისწინებულია დიაბეტის მართვის ხარისხის შესაფასებელი ინდიკატორები.

პროტოკოლსა და გზამკვლევაში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება პირველადი ჯანდაცვის კომპეტენციას და ქსელში არსებულ რესურსებს, ასევე, მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მულტი დისციპლინური გუნდის წევრთა ფუნქციები, მეთვალყურეობის პერიოდულობა და რეფერალის კრიტერიუმები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რეცენზირებული პროტოკოლი და გზამკვლევი, დადებითად უნდა შეფასდეს და რეკომენდაციას ვაძლევთ დოკუმენტების დამტკიცებას, წარმოდგენილი ფორმით.

პატივისცემით,

ირინე ქაროსანიძე

პრეზიდენტი

ა(ა)იპ „საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი“